შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)
ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონალური ოფისი

**ბატონ ირაკლი პეტრიაშვილს,**

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების/პან-ევროპის რეგიონალური საბჭოს პრეზიდენტს.
2020 წლის 8 ივლისი

**შსო-ს რეგიონალური ღონისძიება: Covid-19 და შრომის სამყარო ევროპასა და ცენტრალურ აზიაში - შრომის უკეთესი მომავლის ასაშენებლად.**

2020 წლის პირველი ივლისი

ძვირფასო
ირაკლი,

მადლობა მინდა გადაგიხადოთ თქვენი ღირებული წვლილისთვის, რომელიც შეიტანეთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გლობალური სამიტის „Covid-19 და შრომის სამყარო" ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალურ ღონისძიებაზე, 2020 წლის 1 ივლისს.

უფრო კონკრეტულად კი, მე ძალიან მადლიერი ვარ თქვენი როგორც სპიკერის მონაწილეობით შემაჯამებელ სესიაზე. **ის შეხედულებები, რომლებიც თქვენ და თქვენმა თანამოძმეებმა წარმოადგინეთ, ნათლად ასახავდა იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დღეს იმყოფება ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონი. ღონისძიებამ ასევე დაადასტურა სამმხრივი სოციალური დიალოგის მნიშვნელობა იმ განსაკუთრებული გამოწვევის გადასაჭრელად, რომელიც COVID-19-მა ჩვენ წინაშე წამოაყენა.**

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გლობალური სამიტი მრავალი თვალსაზრისით არის მხოლოდ დასაწყისი იმ ინტერაქციის, თუ როგორ უნდა აღდგეს შრომის ბაზარი და გახდეს უფრო მდგრადი ისეთი დარტყმების მიმართ, როგორიც არის ამ შემთხვევაში Covid-19. ჩვენ გავაგრძელებთ ამ საუბარს მომდევნო წლებშიც, ვიხელმძღვანელებთ რა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციით შრომის მომავლისათვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მზად არის მხარი დაუჭიროს ყველა წევრს უკეთესი შრომის მომავლის მშენებლობის საქმეში. ამის გათვალისწინებით, მე ველოდები რომ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება მომავალშიც.**

პატივისცემით,
ჰაინც კოლერი
გენერალური დირექტორის თანაშემწე
ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური დირექტორი
შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია